

**ურთიერთგაგების მემორანდუმი**  
**საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს სტატისტიკის**  
**ეროვნულ სამსახურსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის**  
**სახელმწიფო კომიტეტს შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის**  
**შესახებ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

სტატისტიკის სფეროში წარმატებული თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1**

მხარეები თავისი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხებზე;

ბ) გამოცდილების გაცვლა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში, მათ შორის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზების შექმნასა და მართვაში და სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში;

გ) ინფორმაციის გაცვლა თანამედროვე სტატისტიკური მეთოდებისა და სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების მეთოდოლოგიების შესახებ;

დ) თანამშრომლობა მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ კვლევებში და იმ პროექტების დანერგვა, რომლებიც საერთო ინტერესებს წარმოადგენენ;

ე) პუბლიკაციების (მაგალითად, ყოველწლიური, დარგობრივი და დარგთაშორისი კრებულებისა და ბიულეტენების) გაცვლა ორივე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სტატისტიკური გამოკვლევების, აღწერების, მომონერის და დაკვირვებების ჩასატარებლად, სტატისტიკური სისტემების შექმნისა და

ფუნქციონირებისათვის სტატისტიკური მასალებისა და მეთოდოლოგიური დოკუმენტების გაცვლა;

ზ) სპეციალისტების ურთიერთვიზიტები სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის სფეროში მეორე მხარის მუშაობის გამოცდილების შესწავლის მიზნით.

## მუხლი 2

ურთიერთგაგების შესახებ წინამდებარე მემორანდუმის დებულებების განმარტების ან გამოყენებისას წარმოშობილ დავებს მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით.

## მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს მხარეები გაიღებენ დამოუკიდებლად, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა წესი არ იქნება შეთანხმებული.

## მუხლი 4

მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე მემორანდუმში შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც ფორმდება ცალკე ოქმების სახით და წარმოადგენენ ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის წინამდებარე მემორანდუმის მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულების შესახებ მხარეთა მიერ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.


წინამდებარე მემორანდუმი იდება ხუთი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდით, თუ რომელიმე მხარე სულ ცოტა 6 თვით ადრე, ზემოაღნიშნული პერიოდის გასვლამდე, დიპლომატიური არხების საშუალებით, არ შეატყობინებს მეორე მხარეს თავის განზრახვას, შეწყვიტოს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება.

შესრულებულია ქ. ბაქოში, 2012 წლის\_\_ მარტს ორ დედნად, თითოეული ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

მხარეთა შორის წინამდებარე მემორანდუმის დებულებების განმარტებისა და გამოყენებისას წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.



სსიპ საქართველოს  
სტატისტიკის ეროვნული  
სამსახურის სახელით



აზერბაიჯანის რესპუბლიკის  
სტატისტიკის სახელმწიფო  
კომიტეტის სახელით